დარიგება და ნუგეში

„ ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშოდ და გასამხნევებლად“ (I კორ. 14, 3)

უბრალო დარიგება მართლმადიდებლური ეკლესიის გამოცდილებიდან

წმინდა ანგელოზების სახ. ქალთა მონასტრის სამთვიანი გამოცემა
ათიდნე ატიკა საბერძნეთი
N1 ● სექტ. - ოქტ. - ნოემბ. 2012

✠ სარჩევი

ტექსტი N1: 1 სექტემბერი
საეკლესიო ახალი წლის დაწყება.

ტექსტი N2: დედა ღვთისა ღვთისმეტყველებს და გვმოძღვრავს.
წმ.ზიარების საიდუმლო.

ტექსტი N3: პატიოსანი ჯვრის ამაღლების შემთხვევაში (14სექტემბერი)
ჯვრის გადასახვის ღვთისმოსავი საქმენი

ტექსტი N4: მოწყალებისგან დიდი სარგებელი
„ღარიბი“ ანგელოზი.

ტექსტი N5: მოწყალება მიცვალებულთ სულებს შვებას ჰგვრის
„შენ მე ჯოჯოეთიდან მიხსენი!“

ტექსტი N6: ღვთისთვის საძაგელი აბორტი და მისი ტრაგიკული შედეგები
ღვთის მოწყალება თან სდევს ცოდვილებს.

1 სექტემბერი
საეკლესიო ახალი წლის დასაწყისი



Ინდიქტი* გვიკურთხე
ახალი წელი, შენ, ძველიც და
ახალგაზრდაც ადამიანთა გამო

ჩვენი წმინდა მართლმადიდებლური ეკლესია განსაკუთრებული მსახურებით დღეს აღნიშნავს ახალი საეკლესიო წლის დასაწყისს, რომელიც სექტემბრის თვის წმინანთა ცხოვრების კრებულშია მოთავსებული.

წირვის დროს იკითხებოდა ასევე განსაკუთრებული ლოცვები, როგორც ლოცვები კონსტანტინოპოლის წმინდა პატრიარქების ათანასესი (1289–1293) და ფილოფეოსია (1353–1355, 1364–1376).

* * *

• ამ დღესასწაულს აქვ სამი მიზეზი:

ა. ახალი წლის დაწყება. ზაფხულის მკის შემდეგ თქოს–და სრულდება ზაფხულის წრე. სექტემბრის თვიდან იწყება ახალი პერიოდი მიწადმოქმედებთათვის და ახალი მარცვალი ითესება მიწაში, იწყება ახალი წლიური წრე.

• ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დროიდან, იუდეველთა მეშვიდე თვის პირველ დღს, სექტემბრის დასაწყისში, იუდევლები აღნიშნავდნენ ახალთვიურ დღესასწაულს (ლევ. XXIII, 24–25. რიცხვ. XXIX, 1–6).

ბ. მადლიერება და ვედრება. ეკლესია მადლობს ღმერთს თავისი ქმნილების მიმართ წყალობისთვის და უფალს ევედრება ჰაერის კეთილგანწყობას, დროულ ნალექებს

და მიწიერი ნაყოფის სიუხვეს, ანუ, რომ „ღმერთი იყოს ჩვენი მწყალობელი და აკურთხოს ახალი წელი“, თავისი წყალობის ახალი წელი.

გ.სინაგოგაში უფლის შესვლა. დღეს უფლის ნაზარეთის სინაგოგაში დასწრების ხსოვნის დღეა (ის დღემდე აღინიშნება), სადაც მას მიაწოდეს ესაია წინასწარმეტყველის წმინდა წიგნი, რომ წაეკითხა და განემარტა. მაშინ ქრისტემ წაიკითხა ის ადგილი, სადაც წინასწარმეტყველი მაცხოვრის სახელით ამბობს: “უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“. (ლუკა 4;18,19).

• ე.ი. ეს დღესასწაული გვახსენებს დღეს, როდესაც ბუნება ემზადება კვლავ წლის ყველა დროის წრის გარბენას – ახალი წელი, რომ ქრისტე მაცხოვარი – შემოქმედია სოფლის და დროის. რომელიც განკაცნა, რათა შეაჯამოს და ყოველი შეიწყალოს.

* * *

დღეს ყველა ქრისტიანი მთელს მსოფლიოში ადიდებენ ყოვლისშემძლე სამსახოვან ღმერთს, რომელმაც ყოველი შექმნა და ყველა ქმნილებას უნარჩუნებს სიცოცხლეს და წლის ყოველ დროში უხვად

* *

ტროპარი ინდიქტიონისა, ხმა ბ

ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო,
ჟამთა და წელთა თვისითა ხელმწიფებითა
დამასხმელო.
აკურთხე გვირგვინი ამისა წელიწადისა
სიტკბოებისა შენითა უფალო, დაიცვენ ერი
და სამწყსოი შენი, რომელი გევედრებიან
ღვთის–მშობელისა მიერ, დიდისაებრ
წყალობისა შენისა.

კონდაკი ინდიქტიონისა, ხმა დ

რომელი მკვიდრ–ხარ მაღალთა შინა ქრისტე
მეუფეო, ყოველთა ხილულთა და უხილავთა
შემოქმედო და დამბადებელო, რომელთაგან
დღენი და ღამენი, ჟამნი და წელნი ჰქმენ,
აკურთხე გვირგვინი ამის წელიწადისა,
დაიცევ და შეზღუდე მშვიდობით
მართლმადიდებელი მეფეი და ქალაქი, და
ერი შენი, მრავალ მოწყალე.

* *

გასცემს კურთხევას.

წმიდა სამებისაგან ერთი უფალი იესო ქრისტე, ახალი წლის კარის მხსნელი, ბუნებას და დროს აეკლესიებს და გვიხმობს კვლავ გავუღრმავდეთ ჩვენს მოწოდებას: ყოვლად წმინდა სამების ტაძრებად, ღვთებრივი სიცოცხლის მონაწილეებად შევდგედ და, აქედან გამომდინარე, ღვთისწყალობით მარადიულებად ახალ მიწაზე და მომავალი საუკუნის ახალი ზეცის ქვეშ.

+კვიპრიანე ორეიელი.



(*) ინდიქტიონი, Indictio. რომის ვტოკრატორის განკარგულება გადასახადის შესახებ, რომელიც ჯარების შენახვაზე იხარჯებოდა და თხუტმეტი წლით იხდებოდა.

• ინდიქტიონის დასაწყისი = ინდიქტიონის თხუთმეტი წლიდან ყოველი წლის დასაწყისი = ახალი წლის დასაწყისი, ძველადაც პოლიტიკური ახალი წლის დასაწყისი = ახლა ახალი საეკლესიო წლის დასაწყისი.

■ როდესაც ახალი პოლიტიკური წლის ზეიმი 1 იანვარს დააწესეს, ეკლესიამ არ ჩათვალა საჭიროდ გადაეტანა ახალი წელი იანვარზე და მე-IV საუკუნეში დადგენილ წესს მიყვებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ მას • საკუთარი წელთაღრიცხვა გააჩნია, • საკუთარი ახალი წლის დღესასწაული და • საკუთარი კალენდარი, რომელიც განუყოფელად დაკავშირებულია მთელი წლის საეკლესიო დღესასწაულებთან.

■ ამრიგად, გასაგებია, რატომაა უგუნურობა ეკუმენისტების მხრიდან ახალი ანუ შესწორებული გრიგორიანული, პოლიტიკური კალენდრის მიღება (1924). ისედაც უგუნურობა იყო, რამეთუ ეკუმენიზმის პერსპექტივით იყო მიღებული.

ღვთისმშობელი
ღვთისმეტყველებს და
გვმოძღვრავს

წმიდა ზიარების საიდუმლო*

ალამანების ქვეყანაში (ალამანელები II საუკუნეში გერმანელთა ერის წარმოშობის იყვნენ. მათ შეძლეს ალამანების სამთავრობოს შექმნა X საუკუნეში, რომელიც, სამწუხაროდ, XI საუკუნეში დაიშალა.) ცხოვრობდა ძალიან კეთილშობილი მღვდელი მამა პელაგი, რომელიც განსაკუთრებით თაყვანსცემდა ღვთისმშობელს.

მაგრამ შურისმოყვარე ეშმაკმა მის გულში წმ. ზიარების მიმართ უნდობლობის თესლი დათესა. ის ფიქრობდა, – „როგორ არის ეს შესაძლებელი, რომ პური ხორცად, ხოლო ღვინო ქრისტეს სისხლად იქცეს!“

ამ აზრებმა დიდ განსაცდელში ჩააგდეს მამა პელაგი, მაგრამ ვერ გაებედა ვინმესთვის რჩევა ეკითხა. ამიტომ ღვთისმშობელს მიმართა და შეჰვედრა, ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება მიეცა მისთვის.

* * *

ასე, ერთხელ, როდესაც აღასრულებდა ლიტურგიას, ის მივიდა “ყოვლადწმინდაზე, უბიწოზე...“ ლოცვამდე და წმინდა პური გაქრა დისკოსიდან. ყველგან ეძებდა პელაგი, მაგრამ ამაოდ.

„ყოვლადწმინდა ქალწულო“ – ყვიროდა შეძრწუნებული, – „ვიცი , ჩემი დანაშაულის, ურწმუნოების და ეჭვების გამო ქრისტემ

იბრუნა ჩემგან პირი და წავიდა, რომ არ მიმეღო, უღირსს, წმინდა ზიარება, შეჰვედრე მას ჩემი პატიება!“

დაინახა მაშინ მან ტრაპეზის წინ დიდებული დეოფალი ჩვილით ხელში რომელმაც უთხრა:

“ეს ჩვილი – სამყაროს შემოქმედი, ღმერთის ძეა და სიტყვა, სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი. ის ჯვარზე ეცვა სამყაროს სახსნელად და აღსდგა. ის ყოველდღიურად

დღევანდელ დღემდე სასწული იერით ჩამობრძანდება, გარდაისახება პურად და ღვინოდ, უდიდესი სიყვარულისა გამო ადამიანების მიმართ და თავდა ეწირება მათ სულის განსანათლებლად. შეიგრძენი ის და უშიშრად გამოიკვლიე, რათა დარწმუნდე, რომ ეს სიმართლეა, რომ ეს ჭეშმარიტად სხეულია ხორცისა და ძვლებისაგან, როგორც მე ის ვშვი.

ზუსტად ასევე გარდაიქმნება პური და ღვინო შენი მსახურების შესრულების დროს. ხოლო, რადგან ადამიანის ბუნებას უმი სხეულის დაგემოვნება და სისხლის შესმა არ შეუძლია, უფალი თავისი უდიდესი სიბრძნით, გვიბოძებს თავს პურისა და ღვინის სახით, რათაყველამშეძლოსზიარება ანთებული სურვილითა და სიყვარულით. ეზიარე რწმენითა და მოწიწებით, რამეთუ ზიარების მიმღები მისი ღვათებრივი დიდების თანამონაწილე ხდება.“

* * *

ამ სიტყვებით ყოვლადწმინდა დედოფალმა დადო ჩვილი წმინდა ტრაპეზზე, მოკრძალებთ თყვანისცა მას და გაუჩინარდა. მაშინ მამა პელაგიმ შიშთ და სიყვარულით აიყვანა ღვთაებრივი ჩვილი, მოწიწებით გულში ჩაიკრა ად დარწმუნდა, რომ ეს ნამდვილი ჩვილია, ცოცხალი, ნამდვილი სხეულისგან. შემდეგ მან გადააბრძანა ჩვილი წმ. ტრაპეზზე, ძირს დაენთქა და ცრემლით დაიწყო ლოცვა:

“მრწამს, უფალო, და ვაღიარებ, რომ შენ – ძე ღვთისახარ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისგან განკაცებული. გმადლობ დიდი წყალობისთვის, მე უღირსს, რომ მოანიჭე, გევედრები, შემინდე ჩემი ურწმუნოება. ახლა კი ნება მომეცი, და მაზიარე, არა როგორც ჩვილსა, არამედ, როგორც პურს.“ რწმენით ილოცა და როდესაც წამოდგა, დაინახა მის წინ, როგორც ადრე, წმინდა პური. მან სიხარულით მიიღო წმ.ზიარება და სიცოცხლის ბოლომდე დიდი მოწიწებით აღვლენდა წმ. საიდუმლოებებს.

(*) „საღვთო ლიტურგიის დროს მომხდარი სასწაულები და გამოცხადებები“. პარაკლიტის მონასტერი, ოროპოსი, ატიკა 1997.

პატიოსანი ჯვრის ამაღლების შემთხვევაში (14 სექტ.)

ჯვრის გადასახვის ღვთისმოსავი საქმენი.

ძველ დროს:

დედაკაცები სანამპურსგამოსაცხობად ღუმელში ჩადგამდნენ, ჯვარს გადასახავდნენ;

- სახლის ზღურბლზე პატრონი ჯვარს კვეთავდა;
- მოხელეები ძვირფასეულობებსა და ჭურჭელს ჯვრით ამშვენებდნენ;
- ჯარისკაცები ბრძოლის ველზე გასვლის წინ, ჯვარს ისახავდნენ.

საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე:

ჯვრისებურად უკმევენ ავადმყოფებს ჯვართამაღლებაზე ნაკურთხი ყვავილებით და ისინი იკურნებიან;

- ჯვარს სახავენ ჭურჭელს სადაც სეფისკვერისთვის ცომს ზელენ.
- რეჰანის ტოტებს დებენ ფქვილისგან და ნაკურთხი წყლისგან მოზელილ ცომის ხაშთან და ის საფუარის გარეშე ამოდის, თუ ამას რწმენით აკეთებენ.
- დედები შვილებს ჯვარს სახავენ:

- სანამ მათ ჩააცმევენ,
- სანამ დასაძინებლად დააწვენენ, ბალიშს ჯვარს სახავენ;
- ჭამის წინ;
- სანამ წყალს დალევინებენ;
- როდესაც დაზიანებებს მიიღებენ;
- როდესაც ამთქნარებენ;
- როდესაც ღამით ტირიან;
- როდესაც მათ აქებენ.

- მშენებლები დგამენ დიდ ხის ჯვარს შენობებზე;
- ატლეტები ჯვარს ისახავენ შეჯიბრის წინ და მოგების შემდეგ;
- ნებისმიერი რთული და სახიფათო შემთხვევის დროს ჩვენ ჯვარს ვისახავთ; ელვასა და ჭექა–ქუხილის, მიწისძვრის, სროლების და ა. შ. , დროს.
- ნათლისღების დღეს წყლის კურთხევისთვის ჯვარს ზღვაში, მდინარეში, ცისტერნაში უშვებენ.
- ჯვარს აღმართვენ გემების, მანქანების, მატარებლებისა და თვითფრინავების დასაცავად.
- ყოველ გაზაფხულს მოძღვრები აღასრულებენ წყლის კურთხვას და ნაკურთხ წყალს აპკურებენ თავის ნახირს ან ფარას, ღმერთს მადლობენ იმისთვის, რომ დაიფარა ზამთრის სისასტიკისგან და კურთხევას შესთხოვენ.

- ღობის წინ ჯვარს კიდებენ;
- დასნეულებულ საქონელს ნაკურთხ წყალს ასმევენ;
- მოწველის წინ ხელისგულით სამჯერ სახავენ ჯვარს ჭურჭელს, და სამჯერ ბოლოს, და სამჯერ თავად ისახავენ, ღმერთს მადლობენ ძვირფასი ძღვენისთვის.

- ბერები იწერენ პირჯვარს ყოველი ქმედების წინ და მათი კრიალოსნის ყოველი ფსკვნილი ცხრა ჯვრისგან შედგება.
- სასულიერო პირების ყოველი ქმედება ტაძარში ჯვრით ისახება;
- გვალვის დროს მღვდელი ჯვარს იღებს და სალიტანიო მსვლელობას ატარებს მინდვრებზე ხალხთან ერთად, რომელსაც თან აუცილებლად მოაქვთ ქოლგები, რადაგან, როგორც წესი, მსვლელობის შემდეგ წვიმა მოდის. ასე იყო ძველ დროს.
- მაკედონელ მეომრებს ბერეტებზე დიდი თეთრი ჯვარი ჰქონდათ.
- მრავალნი, სახლიდან გამოსვლის წინ პირჯვარს იწერენ, რათ ჯვარმა დაიცვას ისინი იქ, სადაც მიდიან, როდესაც შინ ბრუნდებიან, კვლავ პირჯვარს იწერენ და ღმერთს მადლობენ.



ჯვარცმული ქრისტე

ნუ შეგვრცხვება ჯვარცმული ქრისტეს აღიარება. გაბედულად აღვიბეჭდოთ თითებით შუბლზე პირჯვარი. ასე მოვიქცეთ ყველა შემთხვევაში. გადავსახოთ ჯვარი პურს, რომელსაც მივირთმევთ, ჭიქას წყალით, რომელსაც ვსვამთ, როდესაც შევდივართ სადმე ან გამოვდივართ, როდესაც დასაძინებლად ვწვებით და როდესაც ვდგებით, როდესაც დავდივართ და როდესაც ერთ ადგილზე ვართ. ჯვრის გამოსახვას უდიდესი დამცავი ძალა გააჩნია. ის ერთგულთა ნიშანი და დემონების დამთრგუნველია.

წმ. კირილე იერუსალიმელი

მოწყალებისგან დიდი სარგებელი

„ღარიბი“ ანგელოზი *

წმინდა გრიგოლ დიოლოგოსი, რომის პაპი, VI საუკუნეში ცხოვრობდა. რომის ტახტზე აღსაყდრებამდე მან ჩენოის მთაზე მონასტერი დაარსა, წმ. ამდრია მოციქულის სახელზე და მრავალი ხანი დაჰყო იქ წინამძღვრად, ამასთან ერთად რთულ ასკეტურ ცხოვრებას ატარებდა.

* * *

ერთხელ მონასტრის ჭიშკარს ღარიბი მოადგა და მოწყალება ითხოვა. წმინდა მამამ ექვსი მონეტა მისცა მას. სულ მალე ღარიბი კვლავ მივიდა მოწყალების სათხოვნელად. კიდევ ექვსი მონეტი მისცა მას წმინდანმა. მესამედაც იგივე განმეორდა და წმინდანმა, რადგან ფული აღარ ჰქონდა, მისცა მას მონასტრიდან ვერცხლის ჭურჭელი.

ასეთი საქციელი იკრძალებოდა მონასტრის განაწესით, მაგრამ წმინდანის მოწყალე გულმა ვერაფრით შეძლო ცარიელა ხელით აბეზარა მათხოვრის გაშვება.

* * *

უკვე რომის პაპად მსახურების დროს შემდგომშიც ასევე აგრძელებდა ცხოვრებას.

ერთხელ გააგზავნა მსახურები 12 ღატაკის მოსაყვანად თავისთან სადილზე.

სადილის დროს წმინდანმა – და მხოლოდ მან – მეცამეტე სტუმარიც შეამჩნია. ის რაღაცით განირჩეოდა სხვა თორმეტისაგან, მისი იერსახე განსაკუთრებულ აღმატებულ სულს ირეკლავდა.

ბოლოს მან იხმო უცნობი და ჰკითხა:

-“ვინ ხარ, აქ როგორ მოხვდი?“

-„მე უფლის ანგელოზი ვარ,“–უპასუხამან,–„სწორედ ის, რომელიც მრავალი წლის წინ მოდიოდა მოწყალების სათხოვნელად, მაშინ შენ ვერცხლის ჭურჭელი მომეცი. უფალი მაგზავნიდა შენთან მოწყალების გაღების უნარის გამოსაცდელად. ამიტომ დაგაყენა მთავარიერარქად. მას შემდეგ, მისი ბრძანებით, ყოველთვის შენს გვერდით ვარ და გიცავ.“

(*) „წმიდა ანგელოზთაგამოცხადებები და სასწაულები“, პარაკლიტის მონასტერი, ოროპოსი, ატიკა – 1995.

მოწყალება მიცვალებულთ სულებს შვებას ჰგვრის

„შენ მე ჯოჯოეთიდან მიხსენი!“ *

რამოდენიმე ათეული წლის წინ, პატარ სოფელ ელიაში ცხოვრობდა ღვთის წყალობით აღვსილი ერთი სულიერი დეიდა კატერინა.

ის სრულიად გაუნათლებელი იყო. მაგრამ მისი სული ურყევი რწმენით იყო განათლებული, ისეთივე ცხოველი რწმენით, როგორც პირველი ქრისტიანების დროს, რომლებიც ცეცხლში ვარდებოდნენ ქრისტეს სახელის უარყოფის სანაცვლოდ.

ასე ცხადდებოდა დეიდა კატერინაზე უფლის სიტყვები:

„რასაც ითხოვთ რწმენით, მოგეცემათ.“(მათე 21, 22).

* * *

თუ ივლისში ზეცა ღუბლებით იფარებოდა და წვიმა იწყეობოდა იმ დროს, როდესაც მინდვრებში ხორბლის თავთავები მკისთვის უკვე მომწიფებული იყო, ხოლო წვიმა კი მთელ მოსავალს აფუჭებდა – გლეხები

გარბოდნენ დეიდა კატერინასთან და თხოვდნენ, ელოცა, რათა წვიმა შეწყვეტილიყო!

ის მიდიოდა მაცხოვრის ხატთან, ლოცვაზე დგებოდა ... და ღრუბლები იფანტებოდნენ!

თუ ვინმე ავად ხდებოდა – კვლავ დეიდა კატერინასთან მოდიოდნენ, რათა სნეულთან მისულიყო, მისთვის ჯვარი გადაესახა და ელოცა. რწმენით განმსჭვალულ ავადმყოფებს უფალი სასწაულებრივად კურნავდა.

ეს წმიდა სული არასდროს იღებდა ფულსა და ძღვენს. რასაც აკეთებდა – ყველაფერს სრულიად უანგაროდ, დიდი უბრალოებითა და ბუნებრივი მოკრძალებით. მას ბავშვივით წრფელი ფიქრები ჰქონდა, არც თვითკმაყოფილებით და არც ამპარტავნებით შებილწული. ამიტომაც სიცოცხლის ბოლო დღემდე არ დაუკარგავს ეს ღვთის ნიჭი.

* * *

ერთხელ ამ ღვთისმოსავი ქალის ლოცვის ძალით შეძრულმა სოფლის მოზღვარმა იხმო ის თავისკენ და პირისპირ ჰკითხა:

-„შვილო ჩემო, რა ლოცვას კითხულობ ხოლმე მაცხოვრის ხატთან?“

-„ხომ იცი, მოძღვარო, გაუნათლებელი ვარ. ვკითხულობ მხოლოდ ერთ ლოცვას, რომელიც ბებიამ მასწავლა. ვამბობ: “თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი!“ მოძღვარი გაოცდა, როდესაც იოანეს სახარებიდან პირველი სტრიქონები გაიგონა და მისი სულის უბიწოებაში დარწმუნებულმა, უთხრა მას :

-“ილოცე, შვილო, როგორც ლოცულობდი, ისე“.

* * *

როდესაც დადგა გერმანული ოკუპაციის საშინელი დრო, 1941 წელს, ბერძნები შიმშილით კვდებოდნენ. მაშინ დეიდა კატრინამ უფრო მეტი დიდსულოვნება გამოიჩინა.

გარდაცვლილმა ქმარმა მას დიდძალი ქონება დაუტოვა, რომელიც მამისგან, ბატონ ალექსისგან, მემკვიდრეობით ერგო. ამასთან ერთად, მისი სახლის სარდაფში 1000 ფუთი ხორბალი და ზეთით სავსე ორი უზარმაზარი ჭურჭელი ინახებოდა. ასე, დეიდა კატერინამ დაიწყო მშვივრებისთვის ყველაფრის დარიგება.

ხოლო, როდესაც უმწეოები დახმარების მიღებისას საუკეთესო სურვილებთ მადლობას უხდიდნენ მას, ის ეუბნებოდა:

-“მე ნუ მიხდით მადლობას, ჩემს მამამთილს, ბატონ ალექსის უმადლოდედთ, ეს ხომ მისი ხორბალია, ასე თქვით: “უფალო, შეუნდე ბატონ ალექსის“.

როდესაც 500 ფუთ დაარიგა, სიზმარში მამამთილი ნახა, რომელიც სიცოცხლეში ძუნწი იყო. ეახლა მას როგორც მსჯავრდებული, მიწამდე გრძელი თმით, გასაცოდავებული.

მაშინ დეიდა კატერინამ აიღო მაკრატელი, თმა შეაჭრა, სიყვარულით იზრუნა მასზე და მიცვალებულს სახე გაუნათდა!

მაშინ მიმართა მას და თქვა:

-“ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო ძვირფასო ეკატერინა! შენი მოწყალებით გამომიყვანე ჯოჯოხეთიდან, შვილო ჩემო!“

* * *

ეს ყოველივე მოგვითხრო ამ ღვთისმოსავი ქალის ვაჟმა და მისმა მეუღლემ (რძალმა), ვარნაკოვის ღვთისმშობლის ტაძარში მოლოცვის დროს, 2009 წელს, ბრწყინვალე შვიდეულში.

• ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ მოწყალება გარდაცვლილ სულებს ისეთივე შვებას ჰგვრის, როგორც ეკლესიის და ნათესავების ლოცვა.

(*) „სულიერი სამყაროს გამოვლინებები“, ამბები ზეციდან, სასწაულებრივი შემთხვევები, დორიდა 2009.

ღვთისთვის საძაგელი აბორტი და და მისი ტრაგიკული შედეგები

ღვთის მოწყალება თან სდევს ცოდვილებს*

ორმოცი წლის წინ ქალკიდის ოლქში ერთი ოჯახი ცხოვრობდა. არაფერი აკლდათ, ყავდათ ორი შვილი, შვიდი წლის ვაჟი და ხუთი წლის გოგონა. ცოლი მესამე ბავშვს ელოდებოდა და დაჟინებით სურდა ორსულობის შეწყვეტა.

* * *

მეუღლის ცხარე წინააღმდეგობის მიუხედავად თავისი გაიტანა და ფარულად წავიდა აბორტის გასაკეთებლად.

-„ღმერთი დაგვსჯის“ – თქვა მაშინ ქმარმა.

-„რომელი ღმერთი, ძვირფასო? თუ არსებობს ღმერთი, მაშინ ახლავე მოგვევლინოს!“

ერთი თვის შემდეგ მეუღლე შუძლოდ გახდა, დედამ კვირა დღეს წაიყვანა უფროსი ბიჭი, რათა ტრაქტორით მინდორში წასულიყვნენ. მაგრამ ტრაქტორი გადაყირავდა და შვიდი წლის ბიჭუნა შიგ მოჰყვა და დაიღუპა. წარმოიდგინეთ დედის ცრემლები, გოდება, ყვირილი. რა აუტანელი ტკივილია, სასოწარკვეთა, დანაშაულის გრძნობა დედისთვის, რომელიც შვილის დაღუპვაში თავს დამნაშავედ თვლიდა.

* * *

რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ დაორსულდა ქალი და ისევ აბორტი დაიჩემა, ხოლო მეუღლე ამჟამად უდრეკი იყო. ის დაეწია მეუღლეს უკვე თესალონიკის კლინიკასთან და გაყრით დაემუქრა, თუ ის აბორტის გაკეთებას გაბედავდა.

ასე, იძულებული გახდა შეენარჩუნებინა ბავშვი, მაგრამ, მეტად ჯიუტმა და სიამაყით აღსავსემ, კიდევ განაწყენებულმა, რომ ისე არ გამოვიიდა, როგორც მას სურდა, ქმარზე შურისძიების მიზნით – მან საშოში მყოფი საკუთარი ჩვილი დაწყევლა. და იცით, რა წარმოთქვა? „არ მიაღწიოს ხუთ წლამდე!“ – ანუ, მოკვდეს, სანამ ხუთი წლის გახდებოდეს!

(ეს ნიშნავს, რომ სატანას გადასცა!).

მიუხედავად ყველაფრისა, დადგა მშობიარობის დრო და დაიბადა არაჩვეულებრივი ბიჭი, დღითი დღე მშვენდებოდა, პატაობიდანვე ყველას აოცებდა რა აზროვნებითა და სიბრძნით. ყველა ჭკუას კარგავდა მასზე, განსაკუთრებით კი დედა.

* * *

გავიდა რამოდენიმე ხანი – გოგონა, მეორე შვილი, ლეიკემიის სწრაფი ფორმით დაავადდა; მომაკვდავი თესალონიკის საქალაქო საავადმყოფოშო მოათავსეს.

დიდი მარხვა იდგა, პარასკევი დღე. მეზობელი პალატის რადიოდან მოისმოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაუჯდომელი. დედამ ტირილი დიწყო. სასოწარკვეთლმა და აცრემლებულმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს აღხედა, რომელიც გოგონას ზემოდ იყო დაბრძანებული, რათა შეევედროდა მას – და საწოლის თავთან უზარმაზარი შავი კაცი დაინახა, რომელმაც უთხრა:

–“შენ შეგიძლია იტირო, რამდენსაც ისურვებ, ტყუილად გოდებ. ეს ბავშვი დაიღუპება, ხოლო იმას, რომელსაც შემპირდი, წავიყვან მაშინ, როდესაც ხუთი წელი შეუსრულდება. ზუსტად ისევე, როგორც შემპირდი!”

ასეთი სიტყვების გაგონებაზე – მის გარდა, რა თქმა უნდა, არავის არაფერი დაუნახავს – დედამ გრძნობა დაკარგა. როდესაც მოასულიერეს, ცრემლით მოყვა ყველაფერი, რაც თავს გადახდა და იხილა. გარიჟრაჟზე მისი პაწაწინა გოგონა გარდაიცვალა და დედამ ისე ძლიერად განიცადა ეს ამბავი, რომ ნერვული შეტევა დაემართა და ის რამოდენიმე დღით საავადმყოფოში დატოვეს. საბედნიეროდ, მის გვერდით შესანიშნავი ქრისტიანი ექიმი იმყოფებოდა, რომელმაც ასეთ რთულ ჟამს დიდი დახმარება აღმოუჩინა.

* * *

როდესაც ქალი ცოტაოდენ დამშვიდდა და სახლში დაბრუნდა, ღამით საოცარი სიზმარი ნახა (საერთოდ, სიზმრებს არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, მაგრამ ეს განსაკუთრებული ხილვა იყო). მან იხილა თავისი ორი შილი, უფროსი ბიჭი და გოგონა, საოცარ ადგილში, სამოთხეში იყვნენ. მათ უთხრეს დედას:

– ნუ ტირი, დედიკო! აქ ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს და ოდნავაც არ გვაქვს სურვილი დავბრუნდეთ უკან, ამ სამყაროში, სადაც თქვენ ცხოვრობთ და სადაც ყველაფერი ხრწნადი, ბინძურია, ტანჯვით, უბედურბით და სიცრუითაა აღსავსე. რა თქმა უნდა, თქვენ, როგორც მშობლები, სწუხვართ.

მაგრამ ჩვენ აქ სიხარულში

ვცხოვრობთ, ანგელოზებთან, მთვარანგელოზებთან, ქერუბიმებთან და სერაბიმებთან ერთად. სამაგიეროდ, შენ დედიკო, გაუფრთხილდი მიშიკოს (ბიჭუნას ნათლობისას მიქეილი უწოდეს). ფრთხილად იყავი, შენ ხომ შავ ბოროტს შეპირდი მისი თავი. შენ მას გაეცი მიშა, გახსოვს? თქვენ მასთან იერუსალიმში უნდა წახვიდეთ, რათა მისი ხუთი წლის შესრულების დღეს იქ იყოთ; მონახეთ მამა პროდრომი. და ბიჭუნას ხუთი წლის შესრულებამდე რამოდენიმე დღე მასთნ იყავით, მარტო არ დატოვოთ."

ამრიგად, ამ დღიდან იმატა ღელვამ, გაორმაგდა ლოცვა–ვედრება და ჯანმრთელობის წირვები, რათა დედას მესამე შვილიც არ წართმეოდა.

* * *

დადგა 1968 წლის ზაფხული, როდესაც მიქეილი ხუთი წლის უნდა გამხდარიყო. სიმწრით გათანგული მშობლები იერუსალიმში წავიდნენ. ძლივს მონახეს მამა პროდრომი, რადგან იმ დროს ომი მიმდინარეობდა ისრალსა, იორდანიასა და ეგვიპტეს შორის (ასაკოვან ადამიანებს ეს უფრო ემახსოვრებათ), და უკიდურესად კრიტიკული ჟამი იდგა. გადაადგილება ჭირდა, განსაკუთრებით კი სინას მახლობლად, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საპატრიარქოს მეშვეობით დიპლომატიურ გზას დაადგნენ და მამა პროდრომიც მონახეს.

მან სტუმრები თავისთან დატოვა და როდესაც 12 აგვისტოს დილა გათენდა (ბიჭუნა ამ დღეს დაიბადა), მამა პროდორმი უკვე მოელაპარაკა თავის თანამოღვაწეებ, მღვდელმონაზვნებს, რომ საღამომდე ყველა სავანეში უწყვეტად ჩაეტარებინათ ღვთისმასახურებები.

მამა პროდორმიმ დეკანოზის ოლარით მაგრად მაიბა ბიჭუნა წმინდა ტრაპეზს და წირვის ჩატარებას შეუდგა, ხოლო მშობლებს, განსაკუთრებით კი დედას, უთხრა კანკელზე დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქვილს დილიდან საღამომდე უწყვეტად ეკითხა დაუჯდომელი. როგორც კი ასრულებდნენ კითხვას, იმწამსვე ცრემლით თავიდან იწყებდნენ კითხვას. როგორც კი ერთ სავანეში სრულდებოდა წირვა, მეორეში იწყებოდა მორიგი ღვთისმსახურება და ასე უწყვეტად.

ნაშუადღევს გაისმა თითქოსდა საშინელი მიწისძვრის ხმა, ეშმაკები გამოჩნდნენ, გრგვინვა ატყდა, იქაურობა სიბნელემ მოიცვა. ისინი მოემართებოდნენ, ყმუოდენ და ყვიროდნენ... და ყველაფერი იმისთვის, რომ პატარა მიქაელი შეეპყროთ.

მსგავსი შემთხვევა ათონელი აღმსარებლის, ბერი საბას ცხოვრებაშია აღწერილი, თუ როგორ დაესხა თავს ერთერატ ბერს ეშმაკი. აქაც იგივე ხდებოდა, მხოლოდ ამჯერად დემონები უძლურნი იყვნენ. ბავშვის მამამ და მამა პროდორმემ ღვთისმშობელი იხილეს, რომელმაც წმ. ტრაპეზზე მიბმულ პატარა მიქაელს თავისი საფარველი გადაუფარა! და ამნაირად ის გადარჩა.

ესე იგი, შეისმინა ღვთისმშობელმა მათი ვედრება, ყურადიღო საღვთო ლიტურგიები, დაუჯდომელის უწყვეტი კითხვა, შეიბრალა დედის ცრემლი და სასწაული მოახდინა, ბავშვი იხსნა.

* * *

მამა პროდორმის წყალობით და შვილის გადარჩენის სასწაულის შემდეგ ღრმა სინანულიში ჩავარდნილმა მშობლებმა სრულიად შეცვალეს ცხოვრება და მარავალი წლის შემდეგ მშვიდად მიაბარეს სული უფალს. ხოლო მიქაელი ახლა ბერია და ერთი თვის წინ ათონის მთის ერთერთ მონასტერში დეკანოზად აკურთხეს აწ გარდაცვლილი მამა პროდორმის საპატივსაცემოდ პროდორმის სახელით.

(*) „ქრისტეში ცხოვრების ჭალები", მამა სტეფანე ანაგნოსტოპულოსი. ღვთისმშობლის შობის მონასტრის გამომცემლობა, სერგულა დორიდოს, 2011.

● საფოსტო მისამართი: წმიდა ანგელოზთ მონასტერი, 145 65 აგიოს სტეფანოსი, ს.ყ. 51891, საბერძნეთი. ● ელექტრონული მისამართი (e-mail): mhangels@otenet.gr ● ტელეფონის ნომერი: (-30) 2295022582 ● ფაქსი: (-30) 22950 22582 ● გამოიცემა 8 ენაზე: ბერძნული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, შვედური, ჩეხური, ქართული. ● რიგდება და ვრცელდება უფასოდ. ● წინააღმდეგთა წმიდა სინოდის თავმჯდომერის მოადგილე, მისი მაღლადუსამღვდელოესობა ორეის ეპისკოპოს კვიპრიანეს მეთვალყურეობითა და კურთხევით.